სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა №7-ში განსახორციელებლ სამუშაოებზე

თბილისი

2017

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიული მეხსიერებით დატვირთულ ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ უბანში – აბანოათუბანში, კერძოდ გორგასლის ქუჩაზე.

საპროექტო ტერიტორიაზე 2006 წელს ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილის მიერ, ჩატარდა დეტალური საარქივო ბიბლიოგრაფიული ანალიზი, სადაც საფუძვლიანად იქნა განხილული ტერიტორიის წარმოშობისა და მისი ურბანული განვითარების ისტორია. ამასთან დეტალურად იქნა შესწავლილი საპროექტო ტერიტორიაზე იმდროს განთავსებული ნაგებობების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი და მათი როლი მიკროკვარტალის ურბანულ ქსოვილში (იხ. დანართი 1).

ცხადია აღნიშნულ კვლევაში, ჩვენ აღარ განვმეორდებით და მიკროკვარტალის განვითარების ისტორიაზე არ შევჩერდებით, ჩვენი მიზანი კონკრეტულია, საპროექტო ობიექტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით არსებითი საკითხების განხილვა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა.

საპროექტო ობიექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გორგასლის ქ. №7-ში განთავსებული ნაგებობები, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იშლება და თითქმის მთელ მიკროკვარტალს იკავებს. შენობები გახსნილი ფრონტით იხსნება სანაპიროსკენ, რომელსაც წინ სკმაოდ დიდი ზომის სკვერი გასდევს. სკვერი გააზრებულია და ჩართულია სანაპიროს ზოგად კონტექსტში, რომელიც როგორც სივრცობრივი პაუზა ასუნთქებს კიდეც მიმდებარე სივრცეს.

სკვერის უკან განთავსებული შენობები, მიუხედავად განსხვავებული სტილისტური, სამშენებლო მასალისა თუ ხარისხისა, სწორედ აღნიშნული სკვერის საშუალებით ერთიანდება და ცხადია კომპლექსის სახე არა აქვს, თუმცა მიკროსივრცეს კი ქმნის.



აღნიშნული მიკროკვრტალი, XX ს-ის რეკონსტრუქციის შედეგია, რომელიც კიდეც ატარებს იმ პერიოდის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების ერთგვარ სახეს, თუმცა დღეის მდგომარეობოთ მას ურბანულად გააზრებული, მხატვრულად ჩამოყალიბებული სახე აქვს (თუ არ ჩავთვლით XX ს-ის ბოლოს მაღალსართულიან უსახურ სასტუმროს შენობას), რომელიც ძველი ქალაქის არქიტექტურულ თუ შინაარსობრივ სტრუქტურას სავსებით ეხმიანება.



საპროექტო ტერიტორია, ნაგებობების მიხედვით ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. მარჯვენა მეტნაკლებად მოწესრიგებული სივრცე და მარცხენა, მეტად მდარე სამშენებლო ხარისხითა და მხატვრულად უსისტემოდ ნაგები შენობა. მათ შორის ერთგვარაი სიცილაური სხვაობაც არის. მარჯვნივ რესტორანი "პურის სახლი" ბრენდულ რესტორანს წარმოაგდენს, მარცხენა კი შედარებით დაბალი დონის კვების პუნქტი "მასპინძელოს" უჭირავს.





რესტორანი "პურის სახლი", ორსართულიანი, ძველი რუსული აგურით ნაგები შენობაა. შენობის ფასადები შეულესავია, აგურის წყობაში ამოყვანილი არქიტექტურული სახეებით, ლავგარდანის, პარაპეტისა და პილასტრების სახით. შენობის ფასადს, მეორე სართულის მთელ სიგრძეზე ლითონის დეკორატიული აივანი ამკობს. შენობა XX ს-შია აგებულია, რომელსაც 1990-იან წლებში გაუკეთდა რეკონსტრქცია. 2006 წლიდან მისი ხელახალი სიცოცხლე იწყება, როდესაც შენობას კიდევ ერთხელ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მასში რესტორანი "პურის სახლი" განთავსდა.

შენობას მარჯვენა მხრიდან ერთსართულიანი მცირე ზომის ნაგებობა ემიჯნება, მასში თონეა განთავსებული. აღნიშნული შენობა ახუნდოვის ქუჩიდან ჩამოსასვლელ მცირე ზომის კიბეს ესაზღვრება, ფაქტიურად ეს სივრციბრივი ელემენტი ახუნდივის ქუჩიდან ღიაა და სანაპიროს მხარეს იშლება ხედი.





ტერიტორიაზე განთავსებული მეორე მასშტაბური, სამსართულიანი შენობა, სრულიად მოკლებულია მხატვრულ-არქიტექტურულ ლოგიკას და მხატვრულ სტილისტიკას. ე.წ. მეტეხის აგურით ნაგები შენობის პირველი სართული, ფართოდ გაშლილ თაღებიან ვიტრინებს უჭირავთ. ზედა სართულზე ყრუ კედლები მომცრო ზომის ფანჯრებით ისერება, რომლის მარცხენა მხარესაც სრულიად უსისტემო ხის აივანი გამოდის. მესამე სართული, ფაქტიურად გადახურულ ღია სივრცეს უჭირავს, რომელსაც ასევე მარცხენა მონაკვეთში, ულოგიკოდ გაჩენილი ფრონტონიანი მანსარდის ტიპის სართული ასრულებს.

ზემოაღნიშნულ ორ შენობას შორის მცირე ზომის მოცულობაა მოქცეული, ორივე შეობაზე დაბალი, მოკრძალებული პროპორციის ნაგებობა, რომელიც ფასადის მხარეს ხის შეკიდული დეკორატიული აივნებით არის აქცენტირებული.



საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, ფერდოუსის ქუჩის მხარეს, ერთსართულიანი, რელიეფს დაქვემდებარებული კიდევ ერთი უსახური ტექნიკური ტიპის ნაგებობა გამოდის. ის თითქოს საზღვრავს საპროექტო ნაკვეთს, თუმცა ცხადია არანაირი არქიტექტურული გამოსმახველობა არ გააჩნია.





ტერიტორიის ერთ-ერთი ყველაზე სახასაითო თვისება, რელიეფის არათანაბარი მდებარეობაა, ახურდოვის ქუჩა, რომელზეც შენობები უკანა ფასადით გამოდიან, რამოდენიმე მეტრით მაღლაა გორგასლის ქუჩის ნიშნულთან შედარებით. თავად ახუნდოვის ქუჩა, არასწორი მოხაზულობის მცირე ქუჩაა, რომელიც უბნის ურბანული ქსოვილის ავტენტურ ნაწილს წარმოადგენს. მას მხატვრულად ჩამოყალიბებული სახე გააჩნია, რასაც არაერთი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის არსებობაც მოწმობს.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის ყველა ნაგებობა, ახუნდოვის ქუჩას ეხსნება. ფერდოუსის კვეთასთან განთავსებული ზემოთაღნიშნული ნაგებობა, მცირე ქუჩაზე უსახური, საკმად მასშტაბური კედლით იხსნება. ქუჩის დასაყისში ნაგებობა მომრგვალებულ კონფიგურაციას იღებს, რომელიც შემდეგ ბრტყელ ზედაპირზე გრძელდება. შენობის უკანა ფასადს არანაირი გამომსახველობა არ გააჩნია, დამატებით აქცენტად შესასვლელი ორმარშიანი კიბეა, რომელიც ამძიმებს კიდეც ისედაც უსახო ფასადს.



ფერდოუსის ქუჩის მარჯვენა ფლანგი, ზემოაღნიშნული შენობის შემდგომ, ერთსართულიანი რუსული აგურით ნაგები მცირე ზომის შენობით გრძელდება. აღნიშნული მოცულობა, გორგასლის ქუჩის მხარეს ხის შეკიდულაივნიან ნაგებობას უკანა ფასადს წარმოადგენს. კედლის ზედაპირი სარკმელთა მონოტონური წყობით ისერება, რომელიც გარკვეულ რიტმიკას ქმნის, მარცხენა მხარეს მასში შესასვლელი კიბეა მოწყობილი.



ქუჩის მარჯვენა ფლანგის ყველაზე სახასიათო ნაგებობა, რესტორან “პურის სახლი”-ს უკანა ფასადია, რომელიც მორგებული მასშტაბითა და პროპორციით გამოირჩევა. მისი საფასადო კომპოზიცია სადაა, საერთო მხატვრულ სურათში ორგანულად ჩაწერილი და ადაპტირებული.



კედლის ძირითადი ზედაპირი, აგურის წყობაში ამოყვანილ სახეებს უჭირავს. ღიობები მარტივპროფილიანია, თუმცა მათ შორის დარჩენილი არეები რუსტის წყობის იმიტაციით დამუშავებული. შენობას საკმაოდ მაღალი სხვენი, ხოლო ქუჩის მხარეს პარაპეტი ასრულებს, რომლის მხატვრული სახეც აგურის დეკორატიულად დამუშავებული ფორმებია.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამდენად როგორც ჩანს, საპროექტო მიკროკვარტალი, როგორც არქიტექტურულად, ისე სტილისტურად განსხვავებული მოცულობებისაგან შედგება, რომელიც ასევე სხვადასხვა სამშენებლო, ქრონოლოგიურ ეტაპს წარმოადგენს. ამასთანავე ტერიტორიაზე განთავსებული ყველა შენობის მეპატრონე ერთია, რომლის სურვილიც არის ერთიანი კომპლექსის ჩამოყალიბება და მასში ბრენდული სასტუმროს განთავსება. ცხადია შესაძელებლად მიგვაჩნია აღნიშნულის განხორციელება, თუმცა პროექტირებისას გასააზრებელია ის არქიტექტურული თუ მხატვრული მახასაითებლები რაც საპროექტო ტერიტორიას გააჩნია. ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- რეკონსტრუქციისას უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, უკვე ჩამოყალიბებული ურბანული გარემოს შენარჩუნება. შესაბამსიად ვფიქრობთ საპროექტო ნაკვეთზე განთავსებულმა ნაგებობებმა უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებელი სტრუქტრა, მასშტაბი, სილუეტი:
    - ✓ გორგასალის ქუჩის ფასადზე განთავსებული ნაგებობები სხვაადსხვა დროს აგებული მოცულობებია, რომელთაგან ზოგი არქიტექტურულად ღირებული, ზოგი კი სრულებით უინტერესოა. ვფიქრობთ უცვლელად უნდა იქნას შენარჩუნებული მარჯვნივ არსებული “პურის სახლი”-ს შენობის მოცულობა თუ საფასადო კომპოზიცია. საკმაოდ მაღალი სხვენის სართული დამატებითი სართულის გამართვის საშუალებას იძლევა, ცხადია მნიშვნელოვანია აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება.
    - ✓ უცვლელად იქნას შენარჩუნებული შენობის მიმიჯნავედ არსებული ერთსართულიანი თონე. თონე და კიბის უჯრედი ის სივრცობრივი ელემენტია, რომელიც “ასუნთქებს” ახუნდოვის ქუჩას. შესაბამისად ვფიქრობთ შესაძლებლობას თონის ფიქციური ადაპტაციის, მასზე ღია ტერასის ან მორგებული არქიტექტურულად გააზრებული, მსუბუქი მაკავშირებელის

შემქნისა ძირითად შენობასთან. დაუშვებელია აღნიშნულ სივრცეში რაიმე სახის მძიმე მოცულობის გაჩენისა.

- ✓ ვფიქრობთ შესაძლებელია რესტორანი "მასპინძელო"-ს შენობის სრული რეკონსტრუქცია, როგორც გორგასალის, ასევე ახუნდოვის ქუჩის მხარეს. თუმცა ცხადია მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს არსებულს და მისი სიმაღლე გაბარიტი უნდა ჯდებოდეს საერთო განაშენიანების ხაზში.
- ✓ ორ ძირითად ნაგებობას შორის არსებული მცირე ნაგებობა, ის გარდამავალი რგოლი გვეჩვენება, რომელმაც უნდა გამოჯნოს ორი სხვადასხვა ეპოქის შენობა. შესაბამისად მნიშვნელოვანია მისი არსებობა. მისი მოკრძალებული პროპორციის გამო, შესაძლებელია მცირე ზომის მოცულობის გაჩენა, თუმცა აღნიშნულმა სივრცემ უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებელი მოცულობის სახე.
- ✓ ფერდოუსის ქუჩის კუთხესთან მცირე ზომის უსახური ნაგებობის ნაცვლად ახალი მოცულობა უმთავრესად უნდა ითვალისწინებდეს რელიეფის არათანაბარ მდებარეობას. მას ერთგვარი საპასუხისმგებლო დატვირთვა გააჩნია, რადგან მან უნდა დაარეგულიროს საპროექტო ნაკვეთის კუთხის ფლანგის მასშტაბი და პროპორცია.

- უმნიშვნელოვანესია ახუნდოვის ქუჩის მხარეს გამომავალი ფასადიც, რომლის მხატვრულ-არქიტექტურულის სახე უნდა განისაზღვროს არსებული და საპროექტო მოცულობების ერთიანი სტრუქტურული თანამშრომლობით. რეკონსტრუირებული მოცულობები ჰარმონიულად უნდა ჯდებოდეს ახუნდოვის ქუჩის უკვე ჩამოყალიბებულ ერთიან მხატვრულ სურათში. ამ შემთხვევაშიც ცხადია დაუშვებელია ერთიანი მოცულობითი ბლოკის შემქნა, რომელიც აითვისებს საპროექტო ტერიტორიას;
- ცხადაი შესაძლებელია და მნიშვნელოვანია არსებული საპროექტო მოცულობების შიდა გეგმარებით გაერთიანება;

- რეკონსტრუქციისას გასათვალისწინებელია მიმდებარე ტერიტორიის უკვე ჩამოყალიბებული სურათი, მასშტაბი, სართულიანობა, მხატვრული გამომსახველობა და სხვა;
- რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული ახალი მოცულობის მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება, არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრულ მთლიანობას;
- ვფიქრობთ მნიშვნელოვანია, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიება, რომელიც ჰარმონიულად მიესადაგება უკვე არსებულ შენობას (პურის სახლს);
- და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო ტერიტორია ქ. თბილისის ისტორიული მეხსიერებით დატვირთულ და სენსიტიურ ადგილას მდებარეობს, შესაბამისად სარეკონსტრუქციო პროექტი ფაქიზ გემოვნებასა და არქიტექტურულ ტაქტს მოითხოვს, რომელიც უმტკივნეულოდ, ჩაეწერება მიკროკვარტალის უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრულ სურათში.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია